სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა 2024 წლის 5 ივლისის არჩევნების ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით შექმნილი საარჩევნო კომისიის სხდომის

ოქმი № 3

ქ. თბილისი 17/06/2024

17:00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზურაბ გოგშელიძე
2. შორენა დარჩიაშვილი
3. აკაკი მიქაბერიძე
4. მირანდა მიქაძე
5. სალომე ჩიტიშვილი
6. ლევან ხარანაული
7. პავლე ჯაგუნავა

2024 წლის 17 ივნისს, 17:00 საათზე სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის II კორპუსის 011 აუდიტორიაში გაიმართა აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნებისათვის შექმნილი საარჩევნო კომისიის მესამე სხდომა.

მოისმინეს:

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ - ზურაბ გოგშელიძემ, რომელმაც კომისიის წევრებს წარუდგინა სხდომის დღის წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

<u>დღის წესრიგის პროექტი</u>

1. კანდიდატობის მსურველთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვა და კანდიდატთა რეგისტრაცია შესაბამისი რიგითი ნომრის მინიჭებით;
2. საარჩევნო ბიულეტენის ფორმის დამტკიცება;
3. სხვადასხვა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის წევრებმა მოიწონეს წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტი და საწინააღმდეგო მოსაზრება არ გამოუთქვამთ.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტი.

ჩატარდა კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს:

დამტკიცდეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარემ, ზურაბ გოგშელიძემ კომისიის წევრებს მოახსენა, რომ საარჩევნო კომისიამ კანდიდატობის მსურველთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე უნდა მოახდინოს აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნებში მონაწილეობის მსურველ კანდიდატთა რეგისტრაცია შესაბამისი რიგითი ნომრის მინიჭებით ან დაადგინოს ხარვეზი და კანდიდატობის მსურველს მისცეს ხარვეზის აღმოსაფხვრელად რეგულაციებით გათვალისწინებული ერთდღიანი ვადა.

კომისიის თავმჯდომარემ, ზურაბ გოგშელიძემ კომისიის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ კანდიდატთა რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადაში წარმოდგენილია 29 განცხადება თანდართული შესაბამისი დოკუმენტაციით და გააცნო აკადემიური საბჭოს არჩევნებში კანდიდატად დარეგისტრირების მსურველთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია. საარჩევნო კომისიამ განიხილა კანდიდატთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია. კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს ასევე წარუდგინა თსუ პერსონალის მართვის დეპარტამენტიდან მიღებული ინფორმაცია, იმის შესახებ, რომ კანდიდატობის მსურველი არცერთი პირი თსუ-ში არ იკავებს ადმინისტრაციულ თანამდებობას.

აზრი გამოთქვეს:

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თაობაზე კომისიის წევრთა შორის გაიმართა მსჯელობა. აზრი გამოთქვეს საარჩევნო კომისიის მდივანმა აკაკი მიქაბერიძემ, კომისიის წევრებმა ლევან ხარანაულმა, შორენა დარჩიაშვილმა, პავლე ჯაგუნავამ, სალომე ჩიტიშვილმა და მირანდა მიქაძემ. კომისიის წევრებმა დოკუმენტაციის განხილვის შემდეგ გამოთქვეს მოსაზრება, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაცია

შეესაბამება კანდიდატის რეგისტრაციისათვის განსაზღვრულ მოთხოვნებს და ასევე, თსუ პერსონალის მართვის დეპარტამენტიდან მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით შესაძლებელია კანდიდატთა რეგისტრაცია და მათთვის რიგითი ნომრის მინიჭება კანდიდატის გვარის მიხედვით ანბანური თანმიმდევრობით.

კომისიის თავმჯდომარემ, ზურაბ გოგშელიძემ დააყენა კენჭისყრაზე საკითხი კანდიდატთა რეგისტრაციისა და შესაბამისი რიგითი ნომრის მინიჭების შესახებ.

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა 2024 წლის 5 ივლისის არჩევნებში კანდიდატთა რეგისტრაცია და რიგითი ნომრის მინიჭება თანდართული სიის შესაბამისად (დანართი 1).

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ საარჩევნო კომისიის დამსწრე წევრები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი -0

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს:

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა 2024 წლის 5 ივლისის არჩევნებში დარეგისტრირდეს კანდიდატები თანდართული სიის შესაბამისად (დანართი 1).

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარემ, ზურაბ გოგშელიძემ სხდომის მონაწილეებს განუმარტა, რომ არჩევნების მიზნებისთვის საჭიროა საარჩევნო კომისიამ შეიმუშავოს და დაამტკიცოს საარჩევნო ბიულეტენის ფორმა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის მდივანმა აკაკი მიქაბერიძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ მიზანშეწონილია საარჩევნო ბიულეტენში განთავსდეს თსუ-ს ლოგო, არჩევნების დასახელება, საარჩევნო უბნის დასახელება, კანდიდატის რიგითი ნომერი, კანდიდატის სახელი და გვარი, რეგისტრატორის ხელმოწერისა და ბეჭდის ადგილისთვის მინიშნებული

იყოს ადგილი, ასევე, მცირე განმარტება ამომრჩევლის მიერ არჩევანის გაკეთების წესთან დაკავშირებით. კომისიის წევრებმა გაიზიარეს მოსაზრება და შეიმუშავეს საარჩევნო ბიულეტენის ფორმა (დანართი 2).

კომისიის თავმჯდომარემ, ზურაბ გოგშელიძემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი საარჩევნო ბიულეტენის ფორმის (დანართი 2) დამტკიცების შესახებ.

2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა 2024 წლის 5 ივლისის არჩევნებისთვის საარჩევნო ბიულეტენის ფორმის დამტკიცება დანართის შესაბამისად (დანართი 2)

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ საარჩევნო კომისიის დამსწრე წევრები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი -0

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს:

დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა 2024 წლის 5 ივლისის არჩევნებისთვის საარჩევნო ბიულეტენის ფორმა დანართის შესაბამისად (დანართი 2).

თავმჯდომარე:

/ზურაბ გოგშელიძე/ ----------

მდივანი:

/აკაკი მიქაბერიძე/ ----------

დანართი 1

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა 2024 წლის 5 ივლისის არჩევნებში რეგისტრირებული კანდიდატები

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
1. ნუგზარ თოდუა;
2. ლევან საბაური;

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
1. გურამ ქუთელია
2. მანანა ხაჩიძე

იურიდიული ფაკულტეტი
1. ირაკლი დვალიძე

მედიცინის ფაკულტეტი -
1. ნოდარი ხოდელი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
1. ფიქრია ასანიშვილი
2. თამარ ვეფხვაძე
3. გუგული მაღრაძე

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი
1. თამარ გაგოშიძე

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
1. ელენე გოგიაშვილი
2. ქეთევან ხუციშვილი

მიხეილ ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტი
1. თეიმურაზ ბაქრაძე

რაფიელ აგლაძის სახელობის არაორგანული ქიმიის ინსტიტუტი
1. მარინე მაჭავარიანი

ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტი
1. კახაბერ ქოიავა

არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
1. ვახტანგ მაღრაძე

პეტრე მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი

1. მაია ძაგანია;

ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტი
1. ნინო სადრაძე

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
1. ივანე ამირხანაშვილი

ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
1. როზეტა გუჯეჯიანი

თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი
1. დავითი გალაშვილი
2. თამარ ზოიძე

ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი
1. გიორგი ლომინაძე

ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი
1. ლაშა ეფრემიძე

ალექსანდრე ნათიშვილის სახელობის მორფოლოგიის ინსტიტუტი
1. ზურაბ ჩხაიძე

ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტი
1. ალექსანდრე შენგელაია

პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი
1. ლია თოთლაძე

ნოდარ ამაღლობელის სახელობის მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
1. ედიშერ ცხადაძე

ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
1. ელიზბარ ნადარაია

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა 2024 წლის 5 ივლისის არჩევნები

_____

ფაკულტეტის/სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დასახელება

შემოხაზეთ თქვენთვის სასურველი არაუმეტეს ერთი კანდიდატი

კანდიდატის რიგითი ნომერი. კანდიდატის სახელი გვარი

კომისიის წევრის ხელმოწერა

.....

ბ.ა. .....